პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ივნისი პარასკევი, 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 142 (14442)

215.000 ტონა ჩაისათვის

ორი თვის დავალება — ვადამდე

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სახელოვანმა მეჩაიეებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს, ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. 16 ივლისისათვის ნაცვლად 16.879 ტონისა მოიკრიფა 17.600 ტონა ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის დავალება ყველაზე ადრე ბათუმისა და ქობულეთის რაიონების მეჩაიეებმა შეასრულეს.

აღსანიშნავია ჩაისუბნის, დაგვის, ბობოყვათის, ქვედა აჭყვის, ულიანოვკის, ახალშენის, მახოს, ჭარნალის, ხელვაჩაურის, თხილნარის, კვაშტის, წონიარესის კოლმეურნეობების, ჩაქვის, ციცხლაურის, სალიბაურის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობების კარგი მუშაობა.

აჭარის მეჩაიეთა ვალდებულებაა წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულონ 10 სექტემბრისათვის.

კლანტაციეგის გარაქა

ბალის რაიონის მეჩაიეებმა 17 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. სულ რაიონში მოიკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 10.800 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად ორი თვის გეგმით გათვალისწინებული 10.277 ტონისა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქავთარაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ეზუბაიამ.

საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. საბაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ებრალიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ცინცაბაძემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.566 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 5.558 ტონისა. დავალება შესრულდა 100,1 პროცენტით, ფოთოლი წლიური გეგმა — 51,1 პროცენტით.

რაიონის მეჩაიეთა პირობაა ივლისის ანგარიშში ივნისში მოკრეფონ 500 ტონა ჩაის ფოთოლი.

საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ რაიონის მშრომელთა პირობა იყო ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შეესრულებინათ 20 ივნისისათვის. ფოთლის ყოველგვარ ამინდში და განუწყვეტლივ კრეფის შედეგად სიტყვა საქმედ აქციეს. 17 ივნისისათვის მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 2.650 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 2.238 ტონისა.

ცხაკაიელმა მეჩაიეებმა ივლისის ანგარიშში ივნისში უკვე მოკრიფეს 400 ტონა ფოთოლი. გადაწყვიტეს კიდევ მოკრიფონ და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარონ 250 ტონა ჩაის ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფაში წარმატებას აღწევს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის მექანიზატორი დავით კახიძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა 4 ჰექტარზე 18 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. სურათზე: „საქართველოს“ მართავს მექანიზატორი დავით კახიძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

რაციონალიზატორთა რიგები მაჯულდგს

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის ყველაზე დიდი სამრეწველო-საწარმოს — ხალიჩების კომბინატს (დირექტორი რ. კოპრავა) კოლექტივი ენერგიულად შრომობს იმისათვის, რომ წარმატებით გაანაწილოს მეორე კვარტალის დავალება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომბინატის რაციონალიზატორებს. თუ შარშან მათ სულ შემოიტანეს 71 რაციონალიზატორული წინადადება, წელს უკვე შემოსულია 68 წინადადება, რომელთა უმეტესობა მოწონებულია დასანერგავად. ვარაუდობთ ისინი საწარმოს მისცემენ 100 ათას მანეთამდე ეკონომიას.

ზოგავენ ნედლეულს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მომჭირნეობით ხარჯოს ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია და ამ დანაზოგით იმეშაოს ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეებში — 1970 წლის 21 და 22 აპრილს. ზესტაფონელმა მეტალურგებმა მიმდინარე წლის ხუთთვეში დაზოგეს 16 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია, დიდძალი ნედლეული, მასალები. ქარხნის კოლექტივს მომჭირნეობაში დაეხმარება ტექნიკური სიახლე, რომელიც ახლახან დანერგა მეცნიერ მუშაკთა ბრიგადამ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეროსაფი პრემიის ლაურეატის ივ. ქიკალეიძის ხელმძღვანელობით.

ქარხნის კოლექტივთან მეცნიერი მუშაკების თანამეგობრობით მწყობრში ჩადგა ახალი დანადგარი, რომელიც ჭიათურის მარგანეცის წვრილ ფრაქციებს ბრიკეტებს, სასურველი ფორმას აძლევს, დღე-ღამეში დანადგარი უშვებს ასობით ტონა პროდუქციას.

ეს ტექნიკური სიახლე 8-10 პროცენტით ზრდის ღუმელის წარმადობას, ზოგავს დიდძალ ნედლეულს, მასალებს, ელექტროენერგიას.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ახალგაზრდა მშენებელთა მეორე შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება ახალგაზრდა მშენებელთა შეკრების მონაწილეებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, რომლებიც გმირულად შრომობენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მშენებლობებზე.

საბჭოთა ხალხის შრომამ ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი გადააქცია მძლავრ და აყვავებულ ინდუსტრიულ მხარედ. ოდესღაც დაბურული ტაიგის ადგილები გადაიქცა დიდი ქიმიის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის რაიონებად, აქ შეიქმნა უნიკალური ელექტროსადგურები. ბუნებრივი სიმდიდრენი, სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოები, ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების ახალი წყაროები გრანდიოზულ პერსპექტივას უსახავენ ჩვენი ქვეყნის ამ რაიონების შემდგომ სამეურნეო განვითარებას.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის გარდაქმნაში ღირსეული წვლილი შეაქვს მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ახალგაზრდობას. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში — ახალი ქალაქებისა და დაბების, უდიდესი სამრეწველო კომპლექსების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ობიექტების მშენებლობაზე ჩვენი ახალგაზრდები, რომლებსაც არ აშინებთ სიძნელეები და სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული არიან, გადიან შრომითი აღზრდისა და ხასიათის გამოწრთობის შესანიშნავ სკოლას. ლენინური კომკავშირის წარმომადგენლები ღირსეულად განაგრძობენ ოცდაათიანი წლების კომკავშირელთა შესანიშნავ ტრადიციას — პარტიის მოწოდებით იყონ კომუნიზმისათვის ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე. დაე ათასობით ახალი მოხალისე შეემატოს „ციმბირელ“ და „შორეულაღმოსავლელ“ მშენებელთა თქვენს სახელოვან ოჯახს — საბჭოთა მუშათა კლასის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს.

მშენებლის წოდება საპატიოა ჩვენს ქვეყანაში. მშენებლებს კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. ტემპების დაჩქარება, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება და ტექნიკური და მატერიალური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება — აი როგორია მშენებლობათა კომკავშირული ორგანიზაციებისა და თვითეული ახალგაზრდა მუშის უპირველესი ამოცანა. ამ საქმეში თაოსნები უნდა იყონ დამკვრელური კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თქვენ და ყველა თქვენი ამხანაგი ძალღონესა და უნარს არ დაიშურებთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარების შესანიშნავი მიზნების განხორციელებისათვის და დიდი შრომითი წარმატებებით აღნიშნავთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ღირსეულ წვლილს შეიტანთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

ახალგაზრდა მშენებელთა შეკრება

ნოვოკუზნეცკი. 18 ივნისი. (საკ. კორ.). საქარხნო რაიონის ცენტრალურ მოედანზე მეკუბრობის ხელვნის ჩაყრით გაიხსნა დღეს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ახალგაზრდა მშენებელთა მეორე შეკრება.

800 ქალიშვილი და ჭაბუკი დაძველებული კომკავშირული მშენებლობებიდან შეიკრიბა ციმბირელ მეტალურგთა ქალაქში, რათა მოეთხროთ თანატოლთა თავდადებულ შრომაზე, ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ გამოცდილება, დაესახათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის გეგმები.

ნოვოკუზნეცკი შემთხვევით როდი აირჩიეს ახალგაზრდობის შეკრების ადგილად. მთელმა ქვეყანამ იცის დასავლეთ ციმბირის მეტალურგთა თაოსნობა — ვადამდე აითვისონ საპროექტო სიმძლავრენი.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის საბჭოშენის თავმჯდომარე ი. ტ. ნოვოკოცი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შ. ტიაჟელნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს, სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

ინტერნაციონალიზმის დიდი გამარჯვება

საქართველოს მშრომელები მიესალმებიან და ერთსულოვნად იწონებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგებს

დიდად ნაყოფიერი

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრობის ყურადღება მიპყრობილი იყო საბჭოთა ქვეყნის გულს — მოსკოვისაკენ, სადაც მუშაობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი. ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია, რომ ეს თათბირი განიხილავდა მშვიდობის საკითხებს. აქ, ამ დიდ ფორუმზე მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე დაისახა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების ნათელი გზა, რაც მძლავრი სტიმულია ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლისათვის.

თათბირი რომ დიდად ნაყოფიერი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აქ 17 ივნისს მიღებულ იქნა ძირითადი დოკუმენტი. ამ დოკუმენტში მოცემულია თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობის ღრმა ანალიზი და მითითებულია, რომ პროგრესული ძალები მაქსიმალურად გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას და უფრო ფართო შეტევას გაშლიან იმპერიალიზმზე, რეაქციისა და ომის ძალებზე.

ვამაყობ იმით, რომ მშვიდობის ეს დიდი დოკუმენტი მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების მიერ ჩვენს ქვეყანაში შემუშავდა.

პ. გელბახიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი.

უკეთესი მოთავსებისათვის

ამ ისტორიულ დღეებში მთელი კაცობრობის ყურადღების ცენტრში იყო კრემლი, სადაც ადამიანთა ყველაზე სანუკვარი იდეალებისა და მისწრაფებების შესახებ ლაპარაკობდნენ მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს თანამედროვეობის ამ უდიდეს ფორუმს.

მე დიდად გამახარა ამ თათბირზე მიღებულმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ნაკარნახევია ხალხების უკეთესი მომავლისათვის ახალი ბრძოლის მაღალი და კეთილშობილური მიზნებით. თათბირმა დიდი სამსახური გასწია მსოფლიოს პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალთა გაერთიანებისათვის კაცობრობის საერთო მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ფორუმმა ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით დაგვანახვა მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, გაუკეთა ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი მოვლენებს, რომლებსაც უკანასკნელ ხანს ადგილი ჰქონდათ სახელმწიფოთა ერთმანეთთან დამოკიდებულებასა და ფართო მასების რევოლუციური განწყობილების გამოხატვაში.

სერგი ჯილაია,
საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.

საიმედო გზა

გაზეთებში გულდასმით წავიკითხეთ მასალები კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შესახებ. ეს მასალები, და ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ერთხელ კიდევ ნათლად მიტანილებს, რომ საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებს მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის.

მხარს ვუჭერთ მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ბეჯითად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ უხვად გვქონდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, სასახლო მაჩვენებლებით შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

ი. თუთბერიძე,
ხობის რაიონის ნოჯიხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

18 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში. დელეგაციაში შედიან კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ამხ. კ. რ. როდრიგესი (დელეგაციის მეთაური) და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები — რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე მაიორი ამხ. ა. პერეს ერერო და კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. რ. გარსია პელაესი.

საუბარში, რომელიც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთ პრობლემას.

ეძღვნება ლენინს



თბილისში გრძელდება ლენინური კითხვები. მათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად აწყობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია.

19 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივი, თბილისის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლები. მოხსენება „ვ. ი. ლენინი სახელმწიფო აპარატის სრულყოფის ამოცანების შესახებ და ამ ამოცანების შემოქმედებითი განხორციელება სსრ კავშირში“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯავახიშვილმა.

ამხ. ჯავახიშვილის მოხსენებამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქდესი).

ლენინური ოცნების გზები

19 ივნისს მოსკოვში გაიხსნა განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირზე იხილავენ სკოლის ამოცანებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

მოხსენებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი ნ. ბ. კუზინი და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სკოლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე ი. დ. პოროკოვი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში ნორჩი თაობის მონაწილეობის შესახებ თათბირზე ილაპარაკეს პიონერებმა, კომკავშირელმა მუშაკებმა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოლქის წარმომადგენლებმა.

(საკდესის კორ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კაპიტალურ მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაში. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება კაპიტალურ სამუშაოთა უდიდესი პროგრამა. სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე ყოველწლიურად იხარჯება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 20 პროცენტი. 1968 წელს კაპიტალური დაბანდებები შეადგენდა 61,5 მილიარდ მანეთს, რაც 5,6-ჯერ აღემატება 1950 წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

1950-დან 1968 წლამდე აშენდა 12,5 ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, ბევრი სატრანსპორტო магистрали, სამელიორაციო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი.

ამ წლებში აგებული და რეკონსტრუირებული საწარმოები გვაძლევენ თუჯის, ფოლადის, ნავთობის, ტრაქტორების მთელი მოცულობის სამ მეოთხედზე მეტს და მინერალური სასუქების 90-მდე პროცენტს. ამ პერიოდში ძირითადი ფონდები სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 4,6-ჯერ, ხოლო მრეწველობაში 6,4-ჯერ. სახიანო ფონდი ქალაქებსა და მუშათა დაბებში გადიდდა 2,9-ჯერ.

შეიქმნა მძლავრი სამშენებელო ინდუსტრია, რომლის საფუძველსაც შეადგენენ დიდი სამშენებელო-სამონტაჟო ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილი არიან მაღალი წარმადობის მანქანებითა და მექანიზმებით ეა ჰყავთ მშენებელთა და მემონტაჟეთა კვალიფიციური კადრები.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თანამედროვე ეტაპზე კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანი უდიდესი მექანების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ყველა ღონისძიებით ამაღლებას, მათი ანაზღაურების ვადების შემცირებას, კაპიტალურ დაბანდებათა თვითეულ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უმეტესი მატების უზრუნველყოფას. ამისათვის საჭიროა კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის დაგეგმვის ამჟამად მოქმედი ფორმები და მეთოდები მთლიანად შეგუსაბამოთ ქვეყნის განუწყვეტლივ მზარდი ეკონომიკის მოთხოვნილებებს და ალოვფხრათ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით განსაზღვრეს, რომ კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო დაგეგმვის ძირითადი ფორმაა ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც დადგენილი წესით ამუშავებენ და ამტკიცებენ ცალკეული წლებისათვის სსრ კავშირის თვითეული სამინისტრო და უწყება და მოკავშირე რესპუბლიკა წლების მიხედვით.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამტკიცებულ კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიან გეგმებში დაწყებული 1971-75 წლების გეგმით თვითეული მშენებლობისათვის უნდა დაწესდეს დავალებანი სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ასამოქმედებლად, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სასუშაოთა მოცულობა მშენებლობის მთელი ვადისათვის წლების მიხედვით, მშენებლობის, ნაგრძელებლობის ნორმების შესაბამისად, მათ შორის აგრეთვე იმ მშენებლობათა მიხედვით, რომელთა დამთავრების ვადები სცილდება ხუთწლედის ფარგლებს.

კაპიტალურ დაბანდებათა და სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებათა ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე მუშავდება და მტკიცდება საჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმები წლების მიხედვით. აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ეს გეგმები უნდა მიეცეს თითოეულ მშენებლობასა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციას, რომლებიც მათთვის სამუშაო გეგმებს წარმოადგენენ.

კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დავალებათა დაკონკრეტება და დაზუსტება ხდება წლიურ გეგმებში. კაპიტალურ დაბანდებათა დაზუსტებული მოცულობანი სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკებს მინისტრთა საბჭოს უნდა ეცნობოთ არაუგვიანეს იმ წლის მაისისა, რომელიც წინ უძღვის დასაგეგმავ წელს.

ახალი ობიექტების მშენებლობის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ხუთწლიანი გეგმით, შეიძლება განხილულ იქნას როგორც გამონაკლისი წლიური გეგმების ეთოდრიულად.

1970 წლიდან მოყოლებული საწარმო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალებანი სახალხო მეურნეობის გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ისე იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებიც სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებენ.

ამისათვის, რომ ამაღლდეს მგეგმავი ორგანოების, შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების და მოიჯარადრეების პასუხისმგებლობა გეგმების სტაბილურობისათვის, დადგინდა, რომ მშენებლობებისა და ობიექტების კაპიტალურ დაბანდებათა და საჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამტკიცებულ წლიურ გეგმებში ცვლილებანი სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს შეუძლიათ შეიტანონ 1970 წლიდან მოყოლებული მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე და მხოლოდ წინა წლის გეგმის შესრულების შედეგებთან დაკავშირებით. მშენებლობებისა და ობიექტებისათვის დადგენილი საჯარო სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობის განაწილებას კვარტალების მიხედვით ასორციელებენ სამშენებელო-სამონტაჟო ორგანიზაციები შემკვეთებთან შეთანხმებით სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად შეუთანხმონ კაპიტალური მშენებლობის გეგმა სახალხო სამეურნეო გეგმის სხვა ნაწილებს და ჯეროვნად უზრუნველყონ მშენებარე ობიექტები მოწყობილობით, საშენი მასალებით, მექანიზმებით, მუშახელითა და ფინანსური სახსრებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები გეგმების პროექტების შემუშავებისას ვალდებული არიან: განსაზღვრონ 1971 წლიდან დაწყებული სამშენებელო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მატერიალურ, შრომითს და ფინანსურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაბალანსებულ კაპიტალურ-დაბანდებათა საერთო მოცულობა ფინანსების ყველა წყაროს (მათ შორის კოლმეურნეობების სახსრების) გათვალისწინებით; შეიმუშაონ საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსები, მოწყობილობის ბალანსები ნატურალური და ღირებულებითი გამოხატულებით, კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მასალების ბალანსები, შეადგინონ მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და იმ რაიონების სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებელო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეების ხარჯთაღრიცხვები, რომლებშიც თავმოყრილია მშენებლობა, და გამოიყენონ ისინი კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და დაზუსტებისას.

საჭიროდ არის მიჩნეული, რომ 1971 წლიდან დაწყებული საწარმოო დანიშნულების ახლად დაწყებული მშენებლობანი გადავიყვანოთ დაგეგმვის ისეთ ახალ წესზე, როცა მშენებლობათა სატატუტო ნუსხები, რომლებიც შემუშავებულ იქნება პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე და რომლებშიც წლების მიხედვით იქნება განაწილებული სიმძლავრეების, ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დავალებანი მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად, უნდა წარმოადგენდნენ უცვლელ საგეგმო დოკუმენტებს. მათს საფუძველზე უნდა გამოიყოფოდეს მასალების, მოწყობილობის ფონდები, ნორციელდებოდეს სამშენებლო ობიექტების განუწყვეტელი დაფინანსება და ოდებოდეს ხელშეკრულებანი შემკვეთსა და მოიჯარადრეს შორის. 1971 წლამდე დაწყებული მშენებლობანი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის, დაგეგმვის აღნიშნულ წესზე უნდა გადავიყვანოთ სსრ კავშირის საჯელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებებით, რომლებსაც წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისი წლების გეგმების პროექტებთან ერთად.

მშენებლობათა სატატუტო ნუსხების პროექტებს ამუშავებენ ან შემავალი ორგანიზაციებს წარუდგენენ შემავალი ორგანიზაციები გენერალურ მოიჯარადრეებთან შეთანხმებით.

კაპიტალურ დაბანდებათა უფრო

(დასასრული 3ე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ეფექტიანად გამოყენებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა სბჭოებს დაეგზავნა სახალხო სამეურნეო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა სბჭოების ხაზით დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა მაჩვენებელი, რათა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა უასლოეს 3-4 წელიწადში დაიყვანონ ნორმატივებით დადგენილ ოდენობამდე.

ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის რლისა და მშენებლობის ასამაღლებლად დადგენილია, რომ ხარჯთაღრიცხვა ძირითადი და უცვლელი დოკუმენტია მშენებლობის მთელ პერიოდში. ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე უნდა დაგეგმოთ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და უზრუნველყოთ მშენებლობის განუწყვეტელი დაფინანსება, აგრეთვე ინგარიმსწორება მოიჯარადრესა და შემკვეთს შორის შესრულებული სამუშაოებისათვის. ხარჯთაღრიცხვა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული საიჯარო ორგანიზაციებთან და ამ უკანასკნელებმა იგი უნდა მიიღონ მშენებლობის დაწყებამდე. როცა ამ ხარჯთაღრიცხვებს მიიღებენ საიჯარო ორგანიზაციები, ობიექტების დამტკიცებული ღირებულება საბოლოოა. იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა (მათ შორის გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და დანახარჯების რეზერვი) ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მიღწეული ეკონომია, რომელსაც საიჯარო ორგანიზაციები აარულებენ, პროექტის შესაბამისად მრენელობის დამთავრებისა და შემკვეთის მიერ მზა ობიექტის მიღების შემდეგ ამ ორგანიზაციებს რჩებათ.

საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და შემკვეთებს შორის საგეგმო დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით საჭიროდ მიჩნეულია გადიდდეს მნიშვნელობა გენერალური ხელშეკრულებისა ორგრეკ ძირითადი დოკუმენტისა, რომელიც არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას შემკვეთისა და საიჯარო ორგანიზაციას შორის. იჯარის გენერალური ხელშეკრულება იდება მშენებლობის მთელი პერიოდისათვის და უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ სატატენო ნუსხებს.

გათვალისწინებულია უახლოეს წლებში ძირეულად გარდაიქმნას კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა იმ გზით, რომ მშენებლობანი მასალებით მომარაგდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების მეშვეობით სამშენებლო ორგანიზაციათა შეკვეთების მიხედვით მათი იმ მოთხოვნილების შესაბამისად, რომელიც გენერალურ პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

სსრ კავშირის სახმომარაგების დანიტერესებულ სამინისტროებთან ერთად ეუალება 1970 წლიდან ცდის სახით ფონდირებული და დაგეგმილი მასალებით მომარაგების აღნიშნულ წესზე გადაიყვანოს მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები, 1971 წლის პირველ ნახევარში განაზოგადოს ეს გამოცდილება და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და დარტერესებულ სამინისტროებთან ერთად შეიტანოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მათ მიერ შეკვეთილი მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფის პრაქტიკის შემდგომი გაუარესების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ეკისრება შეიტანოს შენი ლითონკონსტრუქციების, ასაწყობი რკინაბეტონის, სადურგლო წარმის, ლინოლეუმის, არამანუფაქტურული საკეთილო მასალების წარმოების გეგმები და კრებსითი ბალანსები. მატერიალური რესურსების მთლიანი ნაწილი ეუალოთ ეროვნული ეკონომიკის საჭიროებათა განსაზღვრა და მათი გამოყოფა საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისათვის, რაც გათვალისწინებულია გეგმით, უნდა მოხდეს ერთიანი ნორმების მიხედვით, მშენებლობის დაფინანსების წყაროების მიუხედავად.

მანქანათმშენებელი სამინისტროებმა უნდა განსაზღვრონ სათაო ქარხნები, რომლებსაც 1971 წლიდან უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ კომპლექტურად აწოდებდნენ მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ტექნოლოგიურ ხაზებს, დანადგარებსა და აგრეგატებს სამინისტროებსა, უწყებებისა და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებული საკმთავრკომპლექტების განაცხადებით. სათაო მიწოდებელმა ქარხნებმა უნდა უზრუნველყონ მათ მიერ მიწოდებული მოწყობილობის შეფმონტაჟი და შემკვეთთან და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებელი იყონ მისი საპროექტო სიმძლავრემდე აყვანისათვის.

დასახულია ორი-სამი წლის განმავლობაში განხორციელდეს მშენებელ-სარეკონსტრუქციო სამრეწველო საწარმოების გადასვლა იმ მოწყობილობით დაკომპლექტებაზე, რომელსაც ისინი მიიღებენ სსრ კავშირის სამომარაგების საკმთავრკომპლექტებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. იზრდება ამ ორგანოების პასუხისმგებლობა მშენებლობებისათვის მოწყობილობის, ავეჯისა და ყოველ ეროვნული, კაბელის და სხვა ნაწარმის კომპლექტურად მიწოდების სახელშეკრულებო გალდებულებათა დარღვევისაათვის.

იმისათვის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები დროულად მოემზადონ ხუთწლიანი გეგმების გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა იმ გზით, რომ მშენებლობანი მასალებით მომარაგდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების მეშვეობით სამშენებლო ორგანიზაციათა მონაცემების საფუძველზე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სამშენებლოო სამინისტროებმა სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში უნდა გათვალისწინონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეების განვითარების დაკავებანი, ამასთან გათვალისწინონ საწარმოო ძალების დაჩქარული განვითარებითა და ქვეყნის ეკონომიური რაიონების მიმდებარე მათი ეკონომიური რაიონების ბაზაზე ეფექტიანი გადანაწილების ამოცანა, რომ რაციონალურად გამოიყენონ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზების განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები. სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებს დაეკალათ 1969 წელს შეიშუშაონ ღონისძიებანი, რათა ... დაც ეს ეკონომიურად დასაბუთებულია, შექმნან მოძრავი სამშენებლო ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები აღჭურვილი უნდა იყოს სამშენებლო ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით, ასაწყობი და მოძრავი საცხოვრებელი სათავსებით, და უნარი უნდა აქონდეთ მოკლე დროში განახორციელონ მშენებლობა საწარმოო ბაზებისაგან დამორებულ რაიონებში, აღნიშნული მშენებლობისათვის შედგენილი ბაზების შექმნაზე დროისა და ხარჯების გაუწევლად.

სსრ კავშირისა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს მოვალენი არიან 1971-1975 წლების გეგმაში გაითვალისწინონ მშენებლობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ამასთან გაითვალისწინონ არამანუფაქტურული და საკეთილო მასალების, ეფექტიანი მასალებისა და სანატაკეკ კონსტრუქციების, ფოლადის, რკინაბეტონისა და ხიბ კონსტრუქციების და ალუმინის შენადნობთა კონსტრუქციების, მაღალხარისხოვანი ადურგლი ნაწარმის, ეფექტიანი ბეტონსაიზოლაციო და თერმოსაიზოლაციო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების მსხვილი რაიონული ბაზების შექმნა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის სამშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1969 წელს უნდა უზრუნველყონ სსრ კავშირის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემის, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების განვითარებისა და განლაგების სქემებისა და საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავების დამთავრება ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1980 წლამდე პერიოდისათვის. აღნიშნული სქემები უნდა გაითვალისწინონ 1971-1975 წლებ მომდევნო წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის შემუშავების დროს.

